




საქართველო მოკლე მიმოხილვა

ტუბერკულოზი

ტუბერკულოზის ეპიდემიოლოგია


საქართველომ ტუბერკულოზთან ბრძოლის თვალსაზრისით მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია. უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში ტუბერკულოზის რეგისტრირებული შემთხვევების რაოდენობა საშუალოდ 9%-ით მცირდებოდა, და სანდო და მდგრადი ეპიდემიოლოგიის სისტემის მონაცემებით ეს ტენდენცია ინციდენტობის ჭეშმარიტი შემცირების შედეგია. ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამის მონაცემებით 2016 წელს ქვეყანაში (სამოქალაქო და პენიტენციურ სექტორში) დარეგისტრირდა ყველა ფორმის ტუბერკულოზის 3,332 შემთხვევა ანუ 89.6 100,000 მოსახლეზე; მათ შორის, 2,465 იყო ახალი შემთხვევა (66.3 100,000 მოსახლეზე).



ტუბერკულოზის რეგისტრირებული შემთხვევები (2005-2016)

2016 წლიდან საქართველო აღარ ითვლება მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის მაღალი ტვირთის მქონე ქვეყანად; თუმცა ჯანმოს ევროპის ეპიდემიოლოგიის 2017 წლის ანგარიშის მიხედვით 2015 წელს ტუბერკულოზის ინციდენტობამ შეადგინა 99 100,000 მოსახლეზე, რაც ჯანმოს ევროპის რეგიონში მესამე ყველაზე მაღალი მაჩვენებელია და ევროპის საშუალო მაჩვენებელს თითქმის სამჯერ აჭარბებს. შესაბამისად, საქართველო მაღალი პრიორიტეტის ქვეყანად განიხილება.

რეზისტენტული ტუბერკულოზის პრევალენტობა საქართველოში (2005-2016)




ძირითადი გამოწვევები

მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის შემთხვევების მნიშვნელოვანი წილი და მეთვალყურეობიდან დაკარგვის მაღალი მაჩვენებელი ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამის ძირითადი გამოწვევა და ტუბერკულოზის ეფექტური კონტროლის განხორციელების მთავარი ბარიერია საქართველოში. ამ გამოწვევების საპასუხოდ ქვეყანამ შეიმუშავა და დაიწყო სტრატეგიის განხორციელება ტუბერკულოზის გავრცელების შეჩერების და მულტირეზისტენტული (MDR) და განსაკუთრებით, ექსტენსიურად რეზისტენტული (XDR) ტუბერკულოზის ტვირთის შესამცირებლად.

ეროვნული ძალისხმევა ტუბერკულოზის დასრულების სტრატეგიის მიზნების მისაღწევად

1990 წელთან შედარებით ტუბერკულოზის პრევალენტობის და სიკვდილობის 50%-ით შემცირებით ქვეყნამ მიაღწია მდგრადი განვითარების მიზნების და ტუბერკულოზის შეჩერების სტრატეგიის 2015 წლის სამიზნე მაჩვენებლებს, და დაადასტურა ინციდენტობის შემდგომი შემცირების მისწრაფება ტუბერკულოზის დასრულების სტრატეგიის შესაბამისად.

ტუბერკულოზის მართვის კასკადი (2015)



ეფექტური, ინტეგრირებული და პაციენტზე ორიენტირებული ინტერვენციებით მოკვდის გაფართოება .



GeneXpert აპარატი

- ქვეყანაში დანერგილია ჯანმრთელობის მინიმალური რეკომენდებული დიაგნოსტიკის თანამედროვე მეთოდები: კულტურა მყარ და თხევად ნიადაგზე, GeneXpert MTB/RIF სისტემა ტუბერკულოზის და რეზისტენტული ტუბერკულოზის სწრაფი დიაგნოსტიკისთვის.
- FAST სტრატეგია ინერგება ქვეყნის მასშტაბით დაავადების ადრეული გამოვლენის და ზოგადი პროფილის დაწესებულებებში ინფექციის გადაცემის პრევენციის მიზნით.
- საქართველომ ერთ-ერთმა პირველმა უზრუნველყო ახალი ტუბსაწინააღმდეგო წამლების პროგრამული გამოყენება.
- სხვადასხვა მიდგომები გამოიყენება ტუბერკულოზის კონტროლში პირველადი ჯანდაცვის პროვაიდერთა ჩართვის უზრუნველსაყოფად.

ჯანმრთელობის და განვითარების პოლიტიკის და სისტემების სრული სარგებლის მიღება მთავრობას, საზოგადოებასა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობით.



- ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამა საქართველოში წარმოადგენს საელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის მოდელს, რომელიც უზრუნველყოფს ტუბერკულოზის დიაგნოსტიკის და მკურნალობის უნივერსალურ ხელმისაწვდომობას და ხელს უწყობს დაავადების გამოვლენის და მკურნალობის შედეგების გაუმჯობესებას.
- 2016-2020 წლების ტუბერკულოზის ეროვნული სტრატეგია და გარდამავალი გეგმა შემუშავდა მრავალმხრივი დიალოგის გზით და დამტკიცებულია მთავრობის მიერ.
- დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა, როგორც გლობალური ფონდის გრანტების ძირითადმა მიმღებმა და ტუბერკულოზის სახელმწიფო პროგრამის განმახორციელებელმა ჩამოაყალიბა შესყიდვების ერთიანი სისტემა წამლის გლობალური დაწესებულებიდან მიწოდების ეფექტური მექანიზმების გამოყენებით და უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის წამლებითა და სახარჯი მასალებით მომარაგებას.
- ჯანდაცვის სისტემების გაძლიერებაზე ორიენტირებული ტუბერკულოზის რეგიონული (TB-Rep) პროექტის ფარგლებში, საქართველომ ჩამოაყალიბა თანამშრომლობა საერთაშორისო და ადგილობრივ პარტნიორებთან, რომლის მიზანია ტუბერკულოზის პროგრამის ეფექტურობის და მდგრადობის ხელშეწყობა.

სამეცნიერო ცოდნისა და ინოვაციების ძიება, რომლებსაც შეუძლიათ ტუბერკულოზის პრევენციისა და მკურნალობის დრამატული ცვლილება.

ნახველის ნიმუშების ტრანსპორტირება საქართველოს ფოსტით



ვიდეო მეთვალყურეობით მკურნალობა



- საქართველო მონაწილეობს მულტიცენტრულ კვლევებში, როგორცაა: FIND, EXPAND TB, STREAM, STAND, END-TB, Nix-TB.
- საქართველოში შემუშავდა და ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამის ფარგლებში დანერგულია ინოვაციური ტექნოლოგიები: ჯანდაცვის ელექტრონული მოდული, ტაბლეტისთვის განკუთვნილი პროგრამა პაციენტის განათლებისა და ეპიდ-ზედამხედველობისთვის, მობილური ტელეფონის აპლიკაცია ვიდეო მეთვალყურეობით მკურნალობისთვის, ტრანსპორტირების, შესყიდვის და მიწოდების ჯაჭვის მართვა, სამოქალაქო საზოგადოების ჩართვა.
- ქვეყანაში მიმდინარეობს C ჰეპატიტის, აივ ინფექციის და ტუბერკულოზის სკრინინგის, დიაგნოსტიკის და მკურნალობისადმი ინტეგრირებული მიდგომის პილოტირება, რაც უზრუნველყოფს სრულყოფილ დახმარებას პირველადი ჯანდაცვის დონეზე და ხელს შეუწყობს მკურნალობის შედეგების გაუმჯობესებას.
- შემუშავების პროცესშია შედეგებზე ორიენტირებული დაფინანსების მოდელი.



Mobile Ambulatories



საქართველოს შრომის
ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის
სამინისტრო

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის სამინისტრო
ა.წერეთლის გამზ.144 თბილისი, საქართველო, 0119
www.moh.gov.ge



თავდაცვითი ეპიდემიოლოგია და
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის
ეროვნული ცენტრი

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი
ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
მ.ასათიანის ქ.9, თბილისი, საქართველო, 0177
www.ncdc.ge